

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,  
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმ ი N 19

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

16 ნოემბერი 2018 წელი  
13 : 00 საათი

**სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:** გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე,  
კობა ტოხვაძე, რამაზ არველაძე, გელა ვარდოსანიძე.

**საკვატო მიზეზით სხდომას არ ესწრებოდა:** ოლეგი მიქელთაძე, ვარლამ გიორგაძე, თამარ  
შენგელია.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/**დანართი N1**/

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო  
განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

## დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მუქედის N10-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი  
ჩიხისათვის 2008 წელს შინდისის ბრძოლაში დაღუპულ მიხელ დვალიშვილის სახელის  
მინიჭების შესახებ.

მომხს:/ გიორგი ივანიაძე/

2. ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მუქედის N4-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი  
ჩიხისათვის ავღანეთში საბრძოლო დავალების შესრულებისას დაღუპულ ლავროსი (ლაშა)  
ივანიაძის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხს:/ გიორგი ივანიაძე/

**გადაწყვიტეს:** დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მუქედის N10-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი ჩიხისათვის 2008 წელს შინდისის ბრძოლაში დაღუპულ მიხელ დვალიშვილის სახელის მინიჭების შესახებ. კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილ საკითხს.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი პირველი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 6

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა მუქედის N10-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი ჩიხისათვის 2008 წელს შინდისის ბრძოლაში დაღუპულ მიხელ დვალიშვილის სახელის მინიჭებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

*/დანართი N2/*

**მოისმინეს :**

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მუქედის N4-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი ჩიხისათვის ავღანეთში საბრძოლო დავალების შესრულებისას დაღუპულ ლავროსი (ლაშა) ივანიაძის სახელის მინიჭების შესახებ.

კომისიის წევრებმა მოიწონეს და მხარი დაუჭირეს დღის წესრიგით წარმოდგენის მეორე საკითხს.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი პირველი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 6

წინააღმდეგი - არცერთი

**დაადგინეს:**

კომისიამ განიხილა და მხარი დაუჭირა ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მუქედის N4-ე ქუჩისა და ამავე ქუჩის პირველი ჩიხისათვის ავღანეთში საბრძოლო დავალების შესრულებისას დაღუპულ ლავროსი (ლაშა) ივანიაძის სახელის მინიჭებას.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

*/დანართი N3/*

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ჩიკვაძე  
საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,  
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის  
კომისიის სხდომის თავმჯდომარე